

Abschiebung verhindern

დეპორტაციის შეჩერება



დააბრუნეთ ჩვენი
მეზობლები

ერთად სოლიდარობით საქსონიის დეპორტაციის პოლიტიკის წინააღმდეგ

როდის მემუქრება დეპორტაცია ...

დეპორტაციის შესაჩერებლად, უნდა იცოდე, ნამდვილად ემუქრება თუ არა დეპორტაცია და რამდენად დიდია საფრთხე:

- „დულდუნგი“ ნიშნავს ხშირ შემთხვევაში დეპორტაციას.
- დულდუნგზე წერია: „გაუქმდება დეპორტაციის დღეს, მიუხედავად იმისა რომ ჯერ კიდევ აქვს ვადა.“
- განსაკუთრებით საშიშია, როცა დულდუნგს მხოლოდ 3 თვე აქვს ვადა.
- სამუშაო ან სასწავლო დულდუნგი საფრთხეს არ წარმოადგენს.
- მაშინაც კი, როდესაც ადამიანს ეძლევა „დროებითი საცხოვრებლის დამადასტურებელი მოწმობა“ (BÜVA), საფრთხე დიდია. BÜVA არის DIN A4 ფორმატის ფურცელი, რომელსაც უცხოელთა სამსახურისგან მიიღებთ „პასპორტის“ სახით, რომელსაც ხშირად მხოლოდ 1 თვე აქვს ვადა და დიდ საშიშროებას წარმოადგენს დეპორტაციის თვალსაზრისით. გთხოვ, რაც შეიძლება სწრაფად მიმართე კონსულტაციის ცენტრს, თუ დულდუნგის ნაცვლად BÜVA მიიღე.
- მნიშვნელოვანია იცოდე, რომ უცხოელთა სამმართველოში დანიშნულ შეხვედრაზეც შეუძლიათ შენი დეპორტაცია. თუ შეხვედრა არაორდინალურია, უნდა იყო ფრთხილი და უმჯობესია გააუქმო შეხვედრა.
- დეპორტაცია შესაძლებელია მაშინაც, თუ პასპორტი არ გაქვთ ჩაბარებული.
- თუნდაც გქონდეს განცხადება ცხოვრების უფლებაზე შეტანილი, დეპორტაცია შესაძლებელია მანამ, სანამ უცხოელთა სამმართველო შენს განაცხადზე გადანყვეტილებას არ მიიღებს. დეპორტაციას თავიდან აიცილებ, თუ დამატებით შეიტან სასწრაფო განცხადებას (Eilantrag) ან მოითხოვ Landesdirektion-იდან წერილობით გარანტიას, რომ დეპორტაცია არ განხორციელდება. ამაში ადვოკატები ან საკონსულტაციო ცენტრები დაგეხმარებიან.

- ადამიანებს, რომლებსაც აქვთ დროებითი და გრძელვადიანი ცხოვრების უფლება ან ევროკავშირის მოქალაქეებს თავისუფალი გადაადგილების უფლებით, საფრთხე არ ემუქრებათ.
- მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი დიდხანს ცხოვრობს გერმანიაში, აქვს სამსახური, ჯანმრთელობის პრობლემები ან ბავშვები დადიან სკოლაში, დეპორტაცია მაინც შესაძლებელია.

ყოველი შემთხვევა განსხვავებულია. შენ გჭირდება დახმარება **საკონსულტაციო ცენტრების bbonlink.de/page-ka-contacts** ან ადვოკატების, რომლებიც კარგად ერკვევიან მიგრაციის სამართალში. მათ უნდა შეამოწმონ შენი საქმე დეტალურად.

...როგორ შემიძლია თავის დაცვა დეპორტაციისგან?

აქ შეგიძლია შეიტყო კოლექტიური დეპორტაციის თარიღები:

Deportation Alarm
de.deportationwatch.net/en
 Facebook: **@Deportation-Alarm**
 Instagram: **@deport_alarm**
 Telegram: **@deportation_alarm**

შენ შეგიძლია დაიმალო და სხვაგან დაიძინო. მაგრამ ხელისუფლების ორგანოების შეხვედრებზე მაინც უნდა გამოცხადდე – ან გააუქმო, მაგალითად, იმ მიზეზით რომ ხარ ავად.

გინდა გაიგო, იყო თუ არა პოლიცია შენთან, როცა სახლში არ იმყოფებოდი? მეზობლებს შეუძლიათ გაგაგებინონ, თუ წინასწარ აუხსნი სიტუაციას. თუ მარტო ცხოვრობ, შეგიძლია პატარა ქალაქი ან კბილის ჯოხი მჭიდროდ ჩააჭირო კარებში, როცა სახლს ტოვებ. სახლში დაბრუნების შემდეგ, ასე შეგიძლია შეამოწმო, გაალო თუ არა ვინმემ კარი.

W2eu გამოაქვეყნა ბუკლეტი მნიშვნელოვანი რჩევებით, თუ როგორ შეიძლება დეპორტაციების შეჩერება.

ეს ინფორმაცია შეგიძლიათ ნახოთ ინგეხნეგ-ვეისიაში
 დეპორტაციის წინააღმდეგ წინააღმდეგობის განწვევის შესახებ მრავალენოვანი ინფორმაცია შეგიძლიათ ასევე იპოვოთ No Border Assembly-ზე.

ეს ინფორმაცია შეგიძლიათ ნახოთ ინგეხნეგ-ვეისიაში
 და OPlatz Berlin-ის ლტოლვილთა მოძრაობის კომიქსში:

ეს ინფორმაცია შეგიძლიათ ნახოთ ინგეხნეგ-ვეისიაში

არსებობს „სოლიდარული თავშესაფარი“ (Soli-Asyl). ეს ნიშნავს, რომ ცხოვრობ სხვა ადამიანებთან, სადაც პოლიცია ვერ გიპოვის, აქ შეგიძლია იპოვო დამატებითი ინფორმაცია სხვადასხვა ენებზე:

Citizen Asylum Saxony
citizenasylum.noblogs.org/

არსებობს ასევე „ეკლესიური თავშესაფარი“ (Kirchen-Asyl). ეს ნიშნავს, რომ ცხოვრობ ეკლესიაში ან ეკლესიისთვის განკუთვნილ შენობაში. პოლიციამ იცის, სადაც ხარ, მაგრამ მათ არ აქვთ შენი წაყვანის უფლება. უმეტეს შემთხვევაში ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ დეპორტაცია ხდება სხვა ევროკავშირის ქვეყანაში, დუბლინის წესების გამო. და უკეთესია, თუ წინასწარ გექნება პირადი კონტაქტი ეკლესიის წევრებთან ან მღვდელთან, აქ შეგიძლია იპოვო პირველადი ინფორმაცია:

ეს ინფორმაცია შეგიძლიათ ნახოთ ინგლისურ-ვერსიაში



الترجمة إلى العربية

Translation to English available

Traduction en français disponible

Deutsche Übersetzung verfügbar

Traducción al español disponible

Wergera bi Kurdî heye

აქ შეგიძლიათ იპოვოთ მეტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა შეგიძლიათ გააკეთოთ დეპორტაციის წინააღმდეგ bringbackourneighbours.de/

ბოლო განახლება: 8.7.2025

გამომცემლის მონაცემები: Kontaktgruppe Asyl und Abschiebehaft e.V. Heinrich-Zille-Str. 6 01219 Dresden